# გეომედი ლაიფი Geomedi Life

№17 (18) 2025 წელი  უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

## ძვირფასო ქალებო!
## გილოცავთ 3 მარტს - დედის დღეს და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს!

საქართველოში დედის კულტი უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რომელიც დასტურდება თუნდაც ამ ქართული სიტყვებით: დედამიწა, დედაბოძი, დედაკაცი ...

დედის დღე - ეს დღე ხაზს უსვამს ჩვენს ცხოვრებაში დედის მნიშვნელობას, ეს დღე საშუალებაა მოვეფეროთ იმ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე გვაჩუქა, ვისაც ვუყვარვართ ისეთი, როგორიც ვართ, ვინც ჩვენზე ზრუნავს, ფიქრობს, ვინც ღამეები ათენა ჩვენს გაზრდაში, ვის გულშიც პატიება ყოველთვის მოიძებნება...

აბა გაიხსენეთ, როდესაც გვიჭირს ვის ვეძახით?: ვაი დედა, დედაა... ამიტომ შევეცადოთ ყოველთვის გამოვნახოთ დრო მათ მოსაფერებლად - დედას უმცირესი ყურადღებაც კი ახარებს.

**ბიბლიოთეკის დირექტორი - იოსებ ბოლოკაძე**

უნიკალურ ქართულ ენაში მრავალი სიტყვაა გამოკვეთილად და ლაკონურობით განმსაზღვრელი ნებისმიერი ქმედების, რომელიც მოწონებებას და აღტაცებას იწვევს. ამ სიტყვებიდან ზესიტყვაა დედა - სიხარულის, აღტაცების, ბედნიერების, სიყვარულის, სევდის, განშორების, შეხვედრის ცხოვრებისეული გზის მაჩვენებელი, აღმზრდელი, ყოველთვის გვერდში მდგომი ადამიანი, რომლის გულის კარები ჩვენთვის ყოველთვის ღიაა.

ყოველთვის გვესმოდა და გვესმის: ხომ არაფერი გტკივა, ხომ არაფერი გაკლია, ხომ არ გიჭირს, ხომ არავინ გიშლის ხელს, ხომ არავინ გეცილება რამეს ან ვინმეს და მრავალი სხვა.

ესაა ჩვენთვის საყვარელი ადამიანი, რომელსაც ასაკი არ გააჩნია, მხოლოდ იცვლება მისი ვარცხნილობის ფერი, ჩვენზე ზრუნვასა და ფიქრში მომრავლებული ნაოჭები, რომლებიც მის სახეს ახლებურ სილამაზეს აძლევს. როდესაც ჩვენ კარგად ვართ და საქმე კარგად გამოგვდის ეს მის ლამაზ სახეზე აღიქმება, რასაც მისი თვალების ციმციმით გამოიცნობ.

მშვენივრად აფასებს ვაჟა-ფშაველა დედის აღმზრდელობით როლს -,, ლამაზად შვილის აღმზრდელი ქალი მიცვნია ღმერთადა''. ნოდარ დუმბაძე ამტკიცებს ,,თუ ადამიანის აღზრდა ხელოვნებაა, მაშინ ადამიანს, როგორც ხელოვნების ნიმუშს, ისე უნდა მოექცე''. დიახ! დედაა ის, რომელიც ჩვენი აღზრდის ხელოვანია.

ვულოცავ ყველა დედას დედის დღეს. ყველა ქალს ქალთა საერთასორისო დღეს. დაე, გაზაფხულის ცვლილებები ალამაზებდეს თქვენს ცხოვრებას!

**პროფესორი - გურამ ამყოლაძე**

7 მარტს შედგა დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო წვეულება. უნივერსიტეტ გეომედის მამაკაცებმა შესანიშნავი სიურპრიზი მოუწყვეს ქალბატონებს 3 მარტისა და 8 მარტის, ქალთა დღეების აღსანიშნავად.

საღამო დატვირთული იყო სხვადასხვა სახის გასართობი ნომრებით, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც ქალბატონებმა, ისე მამაკაცებმა. ქალბატონებს გადაეცათ ყვავილები და ხელნაკეთი საჩუქრები, ხოლო ნომინაციებში გამარჯვებულებს შესაბამისი პრიზები.

მისასალმებელია, რომ წვეულების დროს ქალბატონებს ღიმილი არ მოსცილებიათ სახეზე, რომელიც მათი მშვენებაა... საღამომ ჩაიარა კეთილგანწყობილ და ურთიერთპატივისცემის გარემოში.

უნივერსიტეტ გეომედის რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში პროფესორმა ალექსანდრე ლოლაძემ მონაწილეობა მიიღო მესამე საერთაშორისო მაღალი დონის სწავლებაში, რომელიც I2Q პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიება ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანი იყო საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სწავლების ძირითად თემატიკას წარმოადგენდა ,,ინტელექტუალური საკუთრება უმაღლეს განათლებაში''. ღონისძიება სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა მეცნიერები და მკვლევრები. მონაწილეებმა გაიღრმავეს ცოდნა პატენტების, სავაჭრო ნიშნების, საავტორო უფლებების შესახებ. ასევე, მონაწილეობა მიიღეს ვორქშოფებში, სიმულაციურ აქტივობებში, სიტუაციურ ანალიზებსა და ჯგუფურ სამუშაოებში.

ღონისძიების ძირითადი ამოცანა იყო საქართველოს უნივერსიტეტებში კვლევის შესაძლებლობების გაძლიერება, მათი კვლევითი სტრუქტურების, პროცესებისა და შედეგების ხარისხის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა სტუდენტების კიდევ ერთმა ნაკადმა დაასრულა. ამ დღის აღსანიშნავად მოეწყო საზეიმო ცერემონია. კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართეს მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში და აკადემიურმა პერსონალმა.
საღამო ქუდების აყრითა და საზეიმო ტორტის გაჭრით დასრულდა.

,,წარმოუდგენლად მადლიერი ვარ, რომ ვიყავი უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის ნაწილი. ეს პერიოდი იყო აკადემიური, პიროვნული ზრდისა და საყვარელი მოგონებების ნაზავი. ლექტორებისა და ადმინისტრაციის პერსონალის ხელმძღვანელობამ და მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემი სამედიცინო კარიერის ჩამოყალიბებაში და გულწრფელ მადლობას ვუხდი მათ თავდადებისთვის. ასევე, ვაფასებ ბიბლიოთეკის თანამშრომლების თანადგომას, რადგან ყოველთვის გვეხმარებოდნენ და გვქონდა წვდომა საუკეთესო რესურსებზე. უნივერსიტეტმა მომცა არა მხოლოდ ცოდნა, არამედ შემძინა მეგობრები და დაუვიწყარი გამოცდილება, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება. საუკეთესოს ვუსურვებ ყველას, ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტს - დაე, თქვენი მოგზაურობა იყოს ისეთივე ნაყოფიერი, როგორც ჩემი''.

**აჰმედ შიფაზ - მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტთა აკადემიურმა საზოგადოებამ (SAS), რომელიც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს სთავაზობს მიმზიდველ პლატფორმას ღირებული ცოდნის მისაღებად, 17 იანვარს წარმატებით უმასპინძლა ღონისძიებას ,,Survival Guide '25''.

ღონისძიებაზე წარმოდგენილნი იყვნენ მომხსენებლები გუნჩა შაიხ, ნიტჰია ვინოდ მეემპატ, რიშმიტა საჩინ ტჰაკურ, შიფაზ აჰმედ, იშიკა გოელ, სიედ ჯავიიდ აჰმედ და დოქტორი სანჯიევ მენონი, რომელიც არის გამორჩეული კურსდამთავრებული და პრაქტიკოსი ექიმი. თითოეულმა მომხსენებელმა გააზიარა თავისი გამოცდილება ისეთ თემებზე, როგორიცაა ეფექტური სასწავლო სტრატეგიები, კვლევის შესაძლებლობები, ქსელის შექმნა, ლიდერობა და თავის მოვლა.

დამსწრეებმა მოისმინეს სამოტივაციო ისტორიები, მიიღეს პრაქტიკული რჩევები და ინფორმაცია სამედიცინო სფეროს გამოწვევების შესახებ. მნიშვნელოვანი იყო დოქტორ მენონის სესია ასპირანტურაში სწავლის გზების შესახებ. მან ისაუბრა სამედიცინო სკოლის მიღმა ცხოვრებაზე, რაც სტუდენტებს დაეხმარებათ უკეთ დაგეგმონ თავიანთი მომავალი კარიერა.

Survival Guide '25 საინტერესო და სასარგებლო იყო დამსწრეებისთვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სტუდენტთა აკადემიურის საზოგადოების (SAS-ის) ერთგულებას სამედიცინო პროფესიონალების მომავალი თაობის მხარდაჭერაში.

**Medlink Society: ვირტუალური კავშირები; რეალური გავლენა**

რიტიკა ბჰატიას მიერ დაარსებული საზოგადოება ,,Medlink''-ი განაგრძობს მუშაობას, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებში კვლევისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებასა და ახალი თაობის სამედიცინო სფეროს პროფესიონალების განვითარებას.

,,Medlink''-მა წარმატებით განახორციელა მთელი რიგი ინიციატივები:

უნივერსიტეტ გეომედის კურსდთამთავრებულ, დოქტორ პარნიტა კესარის მიერ ჩატარდა ვებინარი, რომელიც ეძღვნებოდა ძუძუს კიბოს. მან დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ღირებული ინფორმაცია ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენის, პრევენციისა და მიღწევების შესახებ. მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

საინტერესო ვებინარი ჩაატარა კიდევ ერთმა კურსდამთავრებულმა, შრადჰა ჯადჰავმა, სახელწოდებით ''Connect, Communicate and Conquer", რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას. ნაყოფიერი სესიის შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.




საინტერესო საორიენტაციო შეხვედრა შედგა ასევე ახალი სტუდენტებისთვის, რომლის მიზანიც იყო Medlink Society-ის მისიის და საქმიანობის გაცნობა, მათი პიროვნული თუ პროფესიული ზრდის წახალისება.

15 იანვარს კი ჩატარდა ღონისძიება აბსტრაქტების წერის შესახებ, სახელწოდებით ''A Breathless Journey: Understanding Tuberculosis". მონაწილეებმა წარმოადგინეს აბსტრაქტები, რომლებიც დაფუძნებული იყო მათ კვლევებზე. განხილვისა და შეფასების შემდეგ, გამოვლინდა სამი საუკეთესო აბსტრაქტის ავტორი: კავიშ ტარაკ არორკარ, მაიტრიბენ ჰემენდრასინჰ ვანსიაა და ვარშა ჯიტენდრა იადავ, რომლებმაც წარმოადგინეს დამაჯერებელი მიმოხილვები თავიანთი ნამუშევრების შესახებ.

რადგან Medlink Society-მ დაასრულა მუშაობის პირველი წელი, ჩატარდა ინტერვიუები ახალი აღმასრულებელი კომიტეტის წევრების შესარჩევად. ღია კონკურსის და საფუძვლიანი შეფასების პროცესის შემდეგ, რომელშიც ჩართული იყო ქალბატონი ეკატერინე ბუაძე, შეირჩნენ შემდეგი წევრები:

- პრეზიდენტი: აბდულ გუფრან
- ვიცე პრეზიდენტი: ტანუში ჩუგჰ
- მდივანი: იკრამ შაიხ
- მდივანი: სანჯიივინი
- შინაარსის შემქმნელი: შარვარი კადამ.

ისინი მზად არიან გააგრძელონ და შეასრულონ Medlink Society-ის მისია.
დაინტერესებულ სტუდენტებს დაკავშირება შეუძლიათ ელფოსტით: medlink@geomedi.edu.ge ან ინსტაგრამის მეშვეობით: @Medlink_Geomedi.